საქართველოს კანონი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 17^2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილ ორგანოს, ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მთავრობას უფლება აქვს, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარების და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების დროისათვის აქვს ამ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, მოსაკრებლის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე დადოს შეთანხმება გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადების შესახებ. ამ შეთანხმების დადებისას მოსაკრებლის გადამხდელმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ იგი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ განცხადებას წარუდგენს უფლებამოსილ ორგანოს მოსაკრებლის გადამხდელის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 1 იანვრისა, და რომ შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^4 მუხლი:

„მუხლი 17^4. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელი თავისუფლდება ამ მუხლის ამოქმედებამდე გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადაუხდელი მოსაკრებლის გადახდისაგან, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) ობიექტის მშენებლობის ნებართვა 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით გაიცა ან საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით შეთანხმებული იყო, ხოლო მშენებლობის ნებართვა შემდეგ გაიცა;

ბ) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2018 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს;

გ) ობიექტი მთლიანად ან ობიექტის არანაკლებ 60%-ისა განკუთვნილია საცხოვრებლად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

27 ივნისი 2015 წ.

N3818-რს

განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისში, ვაკე საბურთალოს რაიონში, შარტავასა და გოთუას ქუჩებს შორის /ს.კ. 01.10.13.015.112/. ინდივიდუალური ბიდათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ის საცხოვრებელი კომპლექსის – სპეციალური ზონალური მოსაკრებლის

ანგარიში

საპროექტო დოკუმენტაციით ,რომელიც შეთანხმებულია – ქალაქის მთავარი არქიტექტორის 23.01.2004წ. №20/17 ბრძანებით კ1=0,8; კ2=4,0

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად ქ. თბილისის მერის № განკარგულებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 5.1-ით.

ზონალური შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$L/K_2 [K^1_2-(K_2+20\% შეღავათი)] xS$

სადაც, – L მიწის ნორმატიული ფასი 1კვ.მ-ზე.

K_2 - მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი.

K^1_2 - მიწის ნაკვეთისათვის (ტერიტორიისთვის) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი.

S - მიწის ნაკვეთის ფართი.

145/4 [5.1-(4+0,8)] x 8351= 90817

წლის განმავლობაში ყოველთვიური გადასახადი შეადგენს - 7568ლ. 10თ.